საიდ. №71558/03
IR 1151839

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №85-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.” (OLIVE LINE INTERNACIONAL, S.L.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №85-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის №454/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Señora de Olivas” (საიდ. №71558/03, IR 1151839) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ასეიტეს ალბერტ, ს.ა.“ (ACEITES ALBERT, S.A.) სახელზე 29-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნულ ნიშანს არ უნდა მიენიჭოს დაცვა საქართველოში, ვინაიდან, იგი აღრევამდე მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით აპელანტი კომპანიის „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.“ სახელზე საქართველოში დაცული ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნებისა „MAESTRO DE OLIVA“ (N712672; 25.06.2002), „SEÑORITA“ (N878063; 05.12.2005) საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 29-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად (მხედველობით), ასევე, ფონეტიკურად (ჟღერადობით) და სემანტიკურად. ვიზუალური თვალსაზრისით, როგორც განცხადებული, ასევე, რეგისტრირებული ნიშნების შემადგენელი ნაწილები წარმოადგენენ მსგავს აღნიშვნებს, კერძოდ, განცხადებული ნიშნის „SEÑORA DE OLIVAS“ ძირითადი სიტყვა „SEÑORA“ მსგავსია აპელანტის სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „SEÑORITA“, ვინაიდან იდენტურია დაპირისპირებული ნიშნების პირველი ხუთი ასო „SEÑOR“ და ბოლო ასო „A“, მიუხედავად რეგისტრირებული ნიშნის შუაში არსებული ორი დამატებითი ასოსი „IT“ და განცხადებული ნიშნის განსაზღვრებითი ნაწილისა - „DE OLIVAS“. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ ნიშანს „MAESTRO DE OLIVA“, აპელანტის პოზიციით, მისი განსაზღვრებითი ნაწილი „DE OLIVA“ მსგავსია განცხადებული ნიშნის განსაზღვრებითი ნაწილისა „DE OLIVAS“. მსგავსი სიტყვების არსებობა დაპირისპირებულ ნიშნებში („SEÑORA” განცხადებულ ნიშანში და „SEÑORITA” დაპირისპირებულ ნიშანში, ერთ შემთხვევაში და „DE OLIVAS“ განცხადებულ

ნიშანში და „DE OLIVA“ დაპირისპირებულ ნიშანში), საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ნიშნების აღრევა მომხმარებლის მხრიდან და აქედან გამომდინარე, შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. ფონეტიკური მსგავსება განპირობებულია დაპირისპირებულ ნიშნებში არსებული მსგავსი აღნიშვნებით - „SEÑORA“ - „SEÑORITA“ და „DE OLIVAS“ – „DE OLIVA“ რაც ასევე, იწვევს ნიშნების აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. სემანტიკური მსგავსების დადგენისას ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ესპანურ ენაში სიტყვა „SEÑORA“ წარმოადგენს მიმართვას გათხოვილი ქალბატონისადმი, ხოლო სიტყვა „SEÑORITA“ - მიმართვას გასათხოვარი ქალბატონისადმი, მაგრამ, ვინაიდან ქართულ ენას სოციალური მდგომარეობის აღნიშვნის ასეთი გრადაცია არ აქვს, ორივე მიმართვა ითარგმნება როგორც „ქალბატონი“, რაც ასევე, აძლიერებს ამ სიტყვების აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ის ფაქტი, რომ რეგისტრირებული ნიშნები შავ-თეთრია, ხოლო განცხადებული ნიშანი - ფერადი, ასევე, არ არის ძლიერი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ მომხმარებელი შესძლებს ამ ნიშნების ერთმანეთისაგან განსხვავებას, ვინაიდან საკმაოდ ხშირად მწარმოებელი უფრო ზოგადი და ფართო დაცვის მიღების მიზნით რეგისტრაციაში ატარებს შავ-თეთრ გამოსახულებას, თუმცა ხშირად იყენებს ნიშნის ფერად ვარიანტს, რასაც ადასტურებს სააპელაციო საჩივარზე თანდართული ამონაწერი კომპანიის „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.“ ვებ-გვერდიდან. აპელანტის მითითებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ პროდუქცია, ნიშანდებული კომპანიის „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.“ კუთვნილი ორივე ნიშნით „MAESTRO DE OLIVA“ „SEÑORITA“ ძალიან პოპულარულია მთელს მსოფლიოში. კომპანიას „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.“ დარეგისტრირებული აქვს დომეინ-სახელები. ყოველივე ეს მეტყველებს აღნიშნული ნიშნის მაღალ რეპუტაციასა და პოპულარობაზე და არ გამორიცხავს სხვა კომპანიების მცდელობას, ისარგებლონ პოპულარული ნიშნის მაღალი რეპუტაციით და მიამსგავსონ მათ საკუთარი ნიშნები. აპელანტის

განმარტებით, მოსაზრებას განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსების შესახებ ადასტურებს უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის

დაცვაზე უარის შესახებ და რუსეთის უწყების მიერ გამოტანილი წინასწარი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის

დაცვაზე უარის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის შესახებ №454/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Señora de Olivas" (საიდ. №71558/03 IR 1151839) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ასეიტეს ალბერტ, ს.ა." სახელზე 29-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Señora de Olivas" (საიდ. №71558/03, IR 1151839) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „SENORITA" (IR 878063) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება, როგორც

სიტყვიერი, ისე გამოსახულებითი ელემენტისაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ნაწილისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია ლათინური სტილიზებული შრიფტით და შედგება სამი სიტყვისაგან - „Señora de Olivas", დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება სტანდარტული ლათინური შრიფტით და შედგება ერთი სიტყვისაგან - „SENORITA". განცახდებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი მოთავსებულია ყავისფერ მართკუთხედში, რომლის ქვემოთ განთავსებულია შავი მართკუთხედი. როგორც ყავისფერ, ისე შავ მართკუთხედში გამოსახულია ყვითელ და წითელ ფერებში შესრულებული გამოსახულება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად. განსხვავებულია განცხადებული და დაპირიპირიბეული სასაქონლო ნიშნების ჟღერადობა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც "სენიორა დე ოლივა", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც "სენიორიტა". დაპირიპირებული სასაქონლო ნიშნები ასევე განსხვავდება შინაარსობრივად. ესპანურ ენაში „SENORA" არის მიმართვა გათხოვილი ქალბატონებისადმი, ხოლო „SENORITA" კი არის მიმართვა გასათხოვარი ქალბატონებისადმი.

მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არიან იმდენად მსგავსი, რომ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან მათი აღრევა, არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას.

ამასთან, სააპელაციო პალატის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კოლეგიის წევრს - სოფიო დუმბაძეს აქვს განსხვავებული აზრი, რომელიც თან ერთვის გადაწყვეტილებას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ოლივ ლაინ ინტერნაციონალ, ს.ლ.” (OLIVE LINE INTERNACIONAL, S.L.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის №454/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Señora de Olivas” (საიდ. №71558/03, IR1151839) დაცვის მინიჭების შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე